განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე ინგა შამილიშვილი აშშ განათლების სახელმწიფო დეპარტამენტის, საერთაშორისო განათლების ინსტიტუტისა და საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს პროგრამის ,,international visitor leadership programm”-ის ფარგლებში 2013 წლის 2-22 თებერვალს იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. პროგრამის მთავარი თემა გახლდათ ინდაუმენტის სისტემა აშშ-ს უნივერსიტეტებში. ვიზიტის ფარგლებში ოფიციალური შეხვედრები გაიმართა აშშ განათლების სახელმწიფო დეპარტამენტში, აშშ აკრედიტაციის ცენტრსა და კოლეჯებისა და უნივერსიტეტების ასოციაციაში.

პროგრამა ითვალისწინებდა როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო უნივერსიტეტების ადმინისტრირების სისტემისა და საზოგადოებსთან ურთიერთობების სამსახურების მუშაობის გაცნობას. ამ მიზნით შეხვედრები გაიმართა ვაშინგტონში ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში, ატლანტაში მორჰაუსის, ჯორჯიის სახელმწიფო, ემორისა და ჯორჯიას ტექნოლოგიურ უნივერსიტეტებში, სიეტლში ვაშინგტონის, სიეტლისა და სიეტლი სითი უნივერსიტეტებში, აგრეთვე შეხვედრები გაიმართა მერი გეითსის ფონდში, სადაც საუბარი სტუდენტური გრანტების სისტემას შეეხებოდა. პიტსბურგში შეხვედრები გაიმართა პიტსბურგისა და კარნეგი მელონის უნივერსიტეტებში, აგრეთვე სამეცნიერო კვლევით ცენტრში, სადაც კვლევების დაფინანსებასა და მიმართულებებზე ისაუბრეს. ნიუ იორკში მნიშვნელოვანი გახლდათ შეხვედრა საერთაშორისო განათლების ინსტიტუტში, სადაც საუბარი ფულბრაითის, მასკის, აირექსისა და სხვა საერთაშორისო პროგრამების მიმდინარეობაზე გაიმართა. ბარუჰის კოლეჯში გაეცნენ საერთაშორისო პროგრამების მიმდინარეობას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახლდათ შეხვედრა იელის უნივერსიტეტში დევიდ სვენსენის მიერ შექმნილი სისტემა განიხილეს რომელსაც ეფუძნება ამერიკული უნივერსიტეტების ადმინისტრირება.

პროგრამა აგრეთვე ითვალისწინებდა კულტურულ მიმართულებასაც, რომლის მიზანი გახლდათ ამერიკული საზოგადოებისა და ცხოვრების მრავალფეროვნების გაცნობა.